



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/17

ქ. თბილისი


19 აპრილი 2022

სტუ-ის სარგებლობაში არსებული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2022 წლის 13 მაისის №0000484257 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, იჯარით გასცეს ქ. თბილისში, მ. კოსტავას №77-ში მდებარე მე-3-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე არსებული 535 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართი, მიმდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 104,8 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად;
2. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვროს 2024 წლის 5 ნოემბრამდე პერიოდი.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე